



Keep Rugby Clean

KEEP RUGBY CLEAN

კანაბინოიდები (ჰაშიში, მარიხუანა)

რა არის კანაბინოიდები (ჰაშიში, მარიხუანა)?



კანაბინოიდები არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი აკრძალული ნარკოტიკი, რომელიც მოიპოვება კანაპლიის გამხმარ ყვავილებში, ფოთლებში ან ფისში. კანაპლია ასევე ცნობილია როგორც მარიხუანა, ჰაშიში, პლანი, განჯა, მწვანე ან მოსაწვევი. მას ხშირ შემთხვევაში

ეწევიან, მაგრამ ასევე შეიძლება შეჭმაც.

პლანი მეტწილად გართობას, მოლხენას, დასვენებას უკავშირდება, მაგრამ ასეა თუ ისე, თუ ის აღმოაჩინეს თქვენს ორგანიზმში მატრის დღეს, ამას მოყვება სერიოზული შედეგები.

კანაბინოიდები შეტანილია მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) აკრძალულ სიაში და აიკრძალა რაგბის საშეჯიბრო პერიოდში 2004 წლის 1 იანვრიდან.

რა გავლენა აქვს ორგანიზმზე?

კანაბინოიდის აქტიური ინგრედიენტს, დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლს (ტჰკ) მიჰყავს ეიფორიამდე და რელაქსაციამდე. სხვა ზეგავლენა ორანიზმზე:

- წონასწორობის, კოორდინაციის, კონცენტრაციის დარღვევა
- დაგვიანებული რეაქცია
- მოტორიკის დარღვევა
- ძილქუში
- პირის სიმშრალე

გრძელვადიანი რისკები:

- ხასიათის ცვალებადობა
- შფოთის და პარანოიის შეგრძნება
- მეხსიერების დაქვეითება
- ქრონიკული ბრონქიტი
- ფილტვების, პირის, ენის და ყელის კიბოს მაღალი რისკი

რამდენი ხანი რჩება კანაფი თქვენს სისტემაში?

ტჰკ შეიძლება აღმოჩენილ იქნას ორგანიზმში პირველადი მიღებიდან რამოდენიმე კვირის განმავლობაში რადგან ის ერწყმის ორგანიზმის ცხიმოვან ქსოვილებს საიდანაც გამოდის ნელა. გაწმენდის დრო ასევე შეიძლება დამოკიდებული იყოს მოხმარების რაოდენობაზე, ხშირ გამოყენებაზე, კანაფის სიმძლიერეზე და პიროვნების ფიზიკურ აქტივობაზე.

დაიმახსოვრეთ - მოთამაშის ტესტმა შეიძლება დადებითი პასუხი აჩვენოს კანაფზე მიუხედავად იმისა თუ მან მიიღო მატჩამდე დღეებით ან კვირებით ადრე.

ჰაშიში, მარიხუანა

✘
სტატუსი რაგბში
 აკრძალულია საშეჯიბრო პერიოდში